ნასყიდობის ხელშეკრულება №

ქ. თბილისი ”------” --------2019 წელი

სს ,,საქართველოს რკინიგზის” დირექტორთა საბჭოს 2019 წლის _____ №___ დადგენილების, სს ”საქართველოს რკინიგზის” სამეთვალყურეო საბჭოს 2019 წლის _____ №__ სხდომის ოქმის, ელექტრონული (ინტერნეტ) აუქციონის შედეგების საფუძველზე და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად,

ერთის მხრივ, **სს ,,საქართველოს რკინიგზა ”** (საიდენტიფიკაციო №202886010, მის. თამარ მეფის გამზირი №15), შემდგომში - **,,გამყიდველი”,** წარმომადგენელი მისი სატვირთო გადაზიდვების დირექტორის გურამ გურამიშვილის სახით

მეორეს მხრივ _____ (ს.კ. _____ , მის. _____) , შემდგომში ”მყიდველი”, წარმოდგენილი მისი _____ სახით, მოქმედი ---------- ის საფუძველზე

ვდებთ წინამდებარე ნასყიდობის ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ,,გამყიდველი“ გადასცემს „მყიდველს“ საკუთრების უფლებას მის კუთვნილ, არამუშა ფარეხის 2 ერთეულ თბომავალს (2 ТЕ 10У №0481 და 2 ТЕ 10 У №0482).

2. ნასყიდობის ფასი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგნის ნასყიდობის ფასი შეადგენს _____ (_____) აშშ დოლარს („დღგ“-ს ჩათვლით).

2.2. მყიდველმა „დღგ“ უნდა გადაიხადოს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ანგარიშსწორების პირობები

3.1. მყიდველი ვალდებულია სრულად გადაიხადოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასი (დღგ-ს ჩათვლით, ”ბე-ს” თანხის ------- აშშ დოლარი გამოკლებით), ხელშეკრულების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღის ვადაში, ,,გამყიდველის“ შემდეგ საანგარიშსწორებო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით:

ეროვნულ ვალუტაში - ს/ს ”თი ბი სი” ბანკი მარჯანიშვილის ფილიალი,

ბანკის კოდი: **TBCBGE22**;

ანგარიშის ნომერი: **GE93TB1100000112467112**

მიმღები: სს „საქართველოს რკინიგზა“

აშშ დოლარში: Intermediary Bank: CITIBANK N.A. NEW-YORK, USA
SWIFT: CITIUS33,
ABA: 021000089

Beneficiarys bank : HEAD OFFICE SWIFT: TBCBGE22;
JSC ,,TBC BANK ” , Marjanishvili Branch;
SWIFT: TBCBGE22850
Name of beneficiary: JSC”GEORGIAN RAILWAY”
Bens account: GE11TB1100000112070112.

3.2 „არარეზიდენტი“ „მყიდველის“ შემთხვევაში, ანგარიშსწორება წარმოებს აშშ დოლარში. ხოლო „რეზიდენტი“ „მყიდველის“ შემთხვევაში, ანგარიშსწორება წარმოებს ლარში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის შესაბამისად

3.3 ”მყიდველის” მიერ ”ზე”-ს (საგარანტიო თანხის) სახით გადახდილი თანხა (----- ლარი, აუქციონის ჩატარების დღისთვის არსებული კურსით ---- ა.შ.შ. დოლარი (თანხა სიტყვიერად), ჩაითვლება ნასყიდობის ფასში;

4. ნასყიდობის საგნის „მყიდველისათვის“ გადაცემა

4.1 „მყიდველს“ შეძენილი ქონება გადაეცემა შემდეგ მისამართზე: ქ.ხაშური თევდორე მღვდლის №1-ში, შესაბამისი მიღება-გადაცემის აქტ(ებ)ის გაფორმების გზით, არსებული მდგომარეობით.

4.2 ლოკომოტივების „მყიდველისთვის“ გადაცემა განხორციელდება ეტაპობრივად, „გამყიდველის“ მხრიდან, ლოკომოტივების გადაცემის მზადყოფნის შესახებ შეტყობინებიდან 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 „მყიდველი“ ვალდებულია ლოკომოტივების გადაცემის შესახებ „გამყიდველის“ შეტყობინების მიღებიდან, 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში გამოცხადდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე და ჩაიბაროს შეძენილი ქონება. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში კი სრულად გაიყვანოს შეძენილი ლოკომოტივები სს „საქართველოს რკინიგზის“ ტერიტორიიდან და გაათავისუფლოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა, ამ პერიოდის განმავლობაში „მყიდველი“ გათავისუფლებულია საქართველოს რკინიგზის სატარიფო პოლიტიკით გათვალისწინებული დამატებითი საფასურების გადახდისაგან, ხოლო აღნიშნულ ვალდებულების მითითებულ ვადაში (60 კალენდარული დღე) შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ დაეკისრება დამატებითი საფასურის გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 75 ლარის ოდენობით, ერთ ლოკომოტივზე.

4.4 შეტყობინების გაგზავნა მყიდველისათვის განხორციელდება კონტრაქტის გაფორმების და თანხის სრულად გადახდის შემდეგ.

4.5 „მყიდველისათვის“ შეტყობინებისა და სხვა ოფიციალური კორესპონდენციის გაგზავნა ხორციელდება ელექტრონული ფოსტით და ჩაბარებულად ითვლება „მეილის“ გაგზავნის დღიდან.

4.6 გამყიდველის მიერ გადაცემული შეტყობინების შემდგომ მყიდველის 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ყველა მომდევნო გადაცილებული დღე გამოაკლდება ლოკომოტივების გაყვანისათვის მიცემულ 60 კალენდარულ დღეს.

4.7 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის შემდგომ, ლოკომოტივების გატანა/ტრანსპორტირების უზრუნველყოფა განხორციელდება „მყიდველის“ მიერ, მისივე ხარჯებით.

4.8 არსებული მდგომარეობით ლოკომოტივების, გადაგზავნა „ცივ მდგომარეობაში“ შეუძლებელია (ლოკომოტივებისა და ძრავვაგონიანი მოძრავი შემადგენლობის გადაგზავნის ინსტრუქციის შესაბამისად).

4.9 ლოკომოტივების, გადაგზავნას „ცივ მდგომარეობაში“ და მათი ტრანსპორტირებისათვის მომზადებას (ლოკომოტივებისა და ძრავვაგონიანი მოძრავი შემადგენლობის გადაგზავნის ინსტრუქციის შესაბამისად) უზრუნველყოფს „მყიდველი“ თავის ხარჯებით.

4.10 „მყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში, „გამყიდველი“, ცალკე ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფს თავისივე სარემონტო საწარმოებში ლოკომოტივების „ცივ მდგომარეობაში“ ტრანსპორტირებისათვის მომზადებას, ფაქტიურად შესრულებული სამუშოს ხარჯთაღრიცხვა, დამტკიცებული აუდიტის მიერ, წარედგინება მყიდველს ანაზღაურების მიზნით. ლოკომოტივების სარემონტო საწარმოში ყოფნის პერიოდი არ ჩაითვლება ხელშეკრულების 4.3 პუნქტით გათვალისწინებულ 60 დღიან ვადაში.

4.11 შეძენილი ლოკომოტივების „ცივ მდგომარეობაში“ გადასაგზავნად საჭირო ტექნიკურ აქტს ტუ-25-ს გასცემს სს „საქართველოს რკინიგზა“ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ, „მყიდველის“ ხარჯებით.

5. მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლა

5.1. შეძენილ ქონებაზე ”მყიდველი” საკუთრების უფლებას იძენს „გამყიდველისათვის“ ნასყიდობის ფასის სრულად გადახდისა და მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.2 მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკი.

5.3 ,,გამყიდველის“ მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირთა წრე განისაზღვრება სს „საქართველოს რკინიგზის“ დირექტორის ბრძანებით.

6. მხარეთა ვალდებულებები

6.1. ”გამყიდველი” ვალდებულია:

6.1.1. ნასყიდობის ფასის სრულად გადახდიდან გონივრულ ვადაში სრულად გადასცეს ”მყიდველს” წინამდებარე ხელშეკრულების 1.1 პუნქტით განსაზღვრული ქონება.

6.1.2 „მყიდველის“ მოთხოვნის შემთხვევაში და მისივე ხარჯით უზრუნველყოს თავის სარემონტო საწარმო(ებ)ში ლოკომოტივების შეკეთება, ხელშეკრულების 4.10 პუნქტით გათვალისწინებული წესით.

6.2. ”მყიდველი” ვალდებულია:

6.2.1. დათქმულ ვადაში სრულად გადაიხადოს ნასყიდობის საფასური.

6.2.2 ხელშეკრულების 4.2 პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში გამოცხადდეს შეტყობინებაში მითითებულ ადგილზე და შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით ჩაიბაროს შეძენილი ქონება.

6.2.3 ხელშეკრულების 4.3 პუნქტით მითითებულ ვადაში სრულად გაიყვანოს შეძენილი ლოკომოტივების რკინიგზის ტერიტორიიდან და გაათავისუფლოს სარკინიგზო ინფრასტრუქტურა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. წინამდებარე ხელშეკრულების 3.1. მუხლით გათვალისწინებული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში, „მყიდველს“ დაეკისრება პირგასამტეხლო თითოეულ ვადაგადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.1 %-ის ოდენობით. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვადაგადაცილებულ დღეთა რაოდენობა გადააჭარბებს 30 კალენდარულ დღეს, „გამყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას/შეწყვიტოს ნასყიდობის ხელშეკრულება, რა დროსაც ”მყიდველს” არ დაუბრუნდება გადახდილი ”ბე”-ს თანხა.

7.2. წინამდებარე ხელშეკრულების ,,მყიდველის“ მიერ, ან მისი მიზეზით ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ,,მყიდველს“ არ დაუბრუნდება ,,ბეს“ თანხა.

8. დავის გადაწყვეტა

8.1. მხარეები ეცდებიან ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ყველა დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების გზით;

8.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს ქართული სასამართლო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე.

10. სხვა პირობები

10.1. თითოეული მხარე ვალდებულია მკაცრად დაიცვას ხელშეკრულების პირობები;

10.2. ხელშეკრულების განსაზღვრული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება სრულად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

10.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან 1 გადაეცემა ,,მყიდველს“, ხოლო 2 რჩება „გამყიდველს“.

10.4. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია, მხოლოდ მხარეთა წერილობითი შეთანხმებით.

”გამყიდველი” ” სს „საქართველოს რკინიგზა“ ს/კ 202886010 მის: ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ. №15	,,მყიდველი“